საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
მერი

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავასქ. №1 ტელ: +995 599 51-88-41
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72,

ბრძანება

N 6042
18/11/2019

6042-0-4-201911181127

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით ვადაგაგრძელებული უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-5-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და მე-13 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დანართში წარმოდგენილი უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით 2019 წლის 19 ნოემბერს ვებგვერდზე www.eauction.ge გამოცხადდეს ვადაგაგრძელებული უპირობო ელექტრონული აუქციონი.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით აუქციონატორის უფლებამოსილება მიენიჭოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსს, II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს მალხაზ გორგოშიძეს (პ/ნ 33001024003);

3. ქონების საწყისი საპრივატიზებო თანხა განისაზღვროს დანართი N1-ის შესაბამისად;

4. განაცხადის გაკეთების ვადად განისაზღვროს 2019 წლის 19 ნოემბრის 17:00 საათიდან 2019 წლის 4 დეკემბრის 17:00 საათამდე პერიოდი;

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

6. ბრძანება ძალაშია მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

კონსტანტინე შარაშენიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია